

ქართულ-ბერძნულ-სირიული
ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობების
რამდენიმე საკვლევითი საკითხი
SOME ISSUES REGARDING THE STUDY OF
GEORGIAN-GREEK-SYRIAN HISTORICAL-LITERARY
RELATIONS

ელგუჯა ხინთიბიძე
Elguja Khintibidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იოვანე საბაწმინდელი, სირიული ჰიმნი,
რუსთაველის უცნობი ლექსი.

Keywords: Ioane Sabatsmindeli, Syriac Hymn, Rustaveli's Unknown Verse.

ქართველი ხალხის საუკუნოვანი ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა უფრო საფუძვლიან შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს. ამისათვის კი აუცილებელია უცხოურ წყაროებში გაბნეული ფრაგმენტული თუ მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული ფაქტებისა და ცნობების გამოვლენა, რისთვისაც დღეისათვის უფრო ფართო ასპარეზია, ვიდრე წინა საუკუნეში. წინამდებარე სტატია ამ მიმართულებით რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. განათლებულ ქართველ ბერძონაზონთა მოღვაწეობა წმინდა მიწაზე ბევრ საიდუმლოს ინახავს და მათი შესწავლა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა პრეროგატივა უნდა გახდეს. მეცნიერული ინტერესი ამ მიმართულებით ბევრი საკითხის განხილვას საჭიროებს. კერძოდ:

საზღვარგარეთ ქართველთა კულტურული მოღვაწეობის უძველესი კვალი ჩანს წმ. საბას მონასტერში, პალესტინაში. წმ. საბას „ანდერძში“ (მეექვსე საუკუნის დასაწყისში) იკითხება, რომ იბერიელებს და სირიელებს უფლება აქვთ ლიტურგიკული პრაქტიკის რამდენიმე საეკლესიო წიგნი თავიანთ ენაზე წაიკითხონ.

რამდენიმე წლის წინ არმენისტმა ვ. საიბტმა ამ ცნობის თაობაზე რაიმე სერიოზული არგუმენტის გარეშე გააუღერა ჰიპოთეტური შესაძლებლობა იმისა, რომ წმინდა საბას ანდერძის თავდაპირველ ლიტურგიკულ ვერსიაში ამ ადგილას იბერიელების ნაცვლად, ან მათ გვერდით, არმენები იქნებოდნენ დასახელებულნი. განცხადების ავტორმა ანგარიში არ გაუწია იმ ფაქტებს, რომ ქართველ ღვთისმსახურთა კვალი საბას ლავრაში უძველესი დროიდან დასტურდება.

გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპის ხალხთა შორის უაღრესად პოპულარული იყო სასულიერო რომანი „ვარლაამ და იოასაფის ისტორია“, შექმნილი ათონის მთაზე მოღვაწე ბერის წმინდა ეფთვიმე ათონელის მიერ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით. ამ თხზულების ავტორობის პრობლემა მეოცე საუკუნის მედიევისტისკაში ერთი ნიშნელოვანი საკვლევი საკითხი იყო. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თხზულების ავტორად ითვლებოდა წმ. იოანე დამასკელი. ამის უმთავრესი არგუმენტი იყო თხზულების დასაწყისი ანუ ლემა, რომელშიაც იკითხება:

„სულის მარგებელი მოთხრობა ეთიოპელთა, ეგრეთ წოდებულ ინდთა, უშინაგანესი ქვეყნიდან წმინდა ქალაქში მოტანილი მონაზონ იოანეს, პატივდებული და რჩეული კაცის წმინდა საბას მონასტრის ბერის მიერ“.

უკანასკნელი ათწლეულების ბიზანტინისტთა და ქართველოლოგთა გამოკვლევებით ეჭვიმუტანელად დადასტურდა, რომ ეს ბერძნული თხზულება შექმნილია ათონის ქართველთა საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრში.

ჩემი თვალსაზრისით, იმის ამოსაცნობად, თუ ვინ უნდა იყოს თხზულების ლემაში მოხსენიებული უცნობი საბანწმინდელი ბერი იოანე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იოანეს სახელით ცნობილ იმ ქართველ ბერებს, რომლებიც წმინდა საბას საღვთისმეტყველო ცენტრში მოღვაწეობდნენ და კავშირი ჰქონდათ ათონის ქართულ მონასტერთან; კერძოდ კი – ქართული წყაროებით დამოწმებულ იოანე გოლგოთელს და ცნობილ იოანე-თორნიკეს, რომელიც ათონის მთაზე დაბრუნდა მცირე აზიაში რამდენიმე წლით ყოფნის შემდეგ.

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის 2013 წელს ცნობილი გახდა შუა საუკუნეების საქართველოსა და სირიის კულტურული ურთიერთობის ერთი მანამდე უცნობი ფაქტი. ქართულ ენაზე ითარგმნა და სირიულ ორიგინალთან ერთად გამოქვეყნდა ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი XIII საუკუნის ჰიმნი სირიული ჰიმნოგრაფიული კოლექციიდან, რომელიც ეხება 1220-30 წლების თბილისის მრავალგზისი აოხრების კატასტროფულ მოვლენებს. იგი შემონახულია მხოლოდ ერთი XVI საუკუნის სირიული ხელნაწერით (კემბრიჯის უნივერსიტეტი). ეს ჰიმნი შედის ყველაზე დიდ აღმოსავლეთ სირიულ ჰიმნოლოგიურ კოლექციაში, ე. წ. ვარდას კოლექციაში და მიეწერება გევარგიუს ვარდას. ჰიმნი სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა სირიოლოგ ანტონ პრიტულას პუბლიკაციით.

1942 წელს მარსელში გამოიცა არაბულიდან ფრანგულად თარგმნილი ლექსების კრებული, სათაურით – „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“. მთარგმნელი და გამომცემელი – ფრანც ტუსენი. კრებულში შეტანილია პროზაულად თარგმნილი არაბული, სპარსული, ავღანური, ბელუჯისტანური,

ალთაური, თურქული, ეგვიპტური, მაროკოული, ჰოგარული, ჩერქეზული და მათ შორის ქართული ლექსები. ქართული განყოფილება წარმოდგენილია ოთხი ლექსით: თავად ზუმელის ვარდი, შავთელის დაბრკოლება, რუსთველის ვეფხის ტყავი და ანონიმის ღამე. ამ ლექსთაგან არც ერთი არაა ცნობილი ქართული წყაროებით. უმთავრესი საკამათო საკითხი რუსთველისეულად მიჩნეული ლექსის ჭეშმარიტებაა.

კომენტატორთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ტუსენისეული ფაქტების ნამდვილობას. ფ. ტუსენის ზეპირი გადმოცემით, რომელიც მან ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ მკვლევრებს მიაწოდა, მას რუსთველის ლექსი ამოუღია კაიროს უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული აბულ-ფარაჟის არაბული ლექსების კრებულიდან. ფიქრობენ, რომ ეს ავტორი უნდა იყოს წარმოშობით სირიელი ქრისტიანი არაბულენოვანი მწერალი, დაბადებული 1225 წლის ახლოს (ზოგი მკვლევრის დაზუსტებით, აბულ-ფარაჟ იბნ ალ-იბრი) – ცნობილი სირიელი მწერალი, მთარგმნელი და კომპილატორი – ეპისკოპოსად მსახურობდა სომხეთში, ცხოვრობდა აზერბაიჯანშიც. მის ნაწერებში არის ცნობები იბერიელებზე, ქართველთა ქრისტიანობაზე მოქცევის თაობაზე, მონღოლებისა და ქართველების ურთიერთობაზე.

ასე რომ, საფუძვლიანი ეჭვის შეტანა ფ. ტუსენის პუბლიკაციის ჭეშმარიტებაში, ნაადრევია. მეორე მხრივ, არც ისაა სასურველი, რომ ფრანგული თარგმანით გამოქვეყნებული რუსთველისეულად მიჩნეული ლექსი ამთავითვე ჩავთვალოთ ჩვენი პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტ კუთვნილებად. საკითხი საკვლევიია. ამ ფაქტის მიჩქმალვა ან გაუბრალოება, რაც უკვე დიდი ხანია ხდება, მიუღებელია. ესეც ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა გადაუდებელი მოვალეობაა.

ლიტერატურა:

- ვარდა, გ. (2013). XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე. „ქართველოლოგი“, №19, თბილისი: ქართველოლოგი.
- ბინთიბიძე, ე. – Khintibidze, E. (1997). New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph. „Orientalia Christiana Periodical“, V.63.II. Roma.

The centuries-old spiritual and material culture of the Georgian people needs a more thorough study. For this, it is necessary to reveal fragmentary or more or less consistent facts and information scattered in foreign sources, for which there is a wider arena today than in the previous century. This article focuses on several issues in this regard. The activities of Georgian educated monks in the Holy Land keep many secrets and their study should become the prerogative of Georgian Oriental studies scholars. Scholarly interest in this area needs to discourse many issues. In particular:

The oldest traces of Georgian cultural activity abroad can be seen in the monastery of St. Saba in Palestine. St. Saba's "Testament" (beginning of the sixth century) states that the Iberians and Syrians have the right to read several ecclesiastical books in their language in their liturgical practice. A few years ago the Armenian studies scholar W. Seibt said (without any serious argument) that in the original version by St. Saba in this place instead of Iberians or next, Armenians would be named. The author of the statement did not pay attention to the fact that the traces of Georgian worshipers in Saba's Lavra are attested from ancient times.

The spiritual novel "The Story of Barlaam and Ioasaph" is based on Georgian sources and created by St. Euthimius the Athonite, a monk serving on Mount Athos was the most popular work, widely known among European people of the late middle centuries. The problem of the authorship of The Story was a major issue of the Medieval Studies of the 20th century. According to the very spread opinion, the author was St. John Damascene. The main argument of which is the beginning or lemma of the Story reading in old Greek Mss.: "An edifying story, from the inner country of Ethiopia, brought to the Holy City by John, a monk of the monastery of St. Sabas..." The last decades' Byzantine and Kartvelological scientific literature undoubtedly proves that this work was created in the Georgian theological-literary center on Mount Athos. In my opinion, it should be paid special attention to the Georgian monks working in the Georgian scriptorium of the St. Saba's monastery, who bore the name of John (Ioane) and had a connection with the Georgian monastery of Mount Athos, for identification of this unknown monk John of St. Saba Monastery; in

particular, Ioane Golgotheli, certified in Georgian sources, and the famous Ioane-Tornike, who returned to Mount Athos after a few years being in Asia Minor.

In 2013, one unknown fact of cultural relations between medieval Georgia and Syria became known to the Georgian scientific community. The hymn of the XIII century, previously unknown to Georgian studies scholars, from the Syrian hymnography collection, which refers to the catastrophic events of Tbilisi's many times in 1220-30, was translated into Georgian and published together with the Syrian original in the journal "The Kartvelologist" (#19, 2013). The hymn on Tiflis from the so-called Warda collection concerns the disasters of conquering and ruining Tbilisi in the first half of the thirteenth century. It is met only in one manuscript of the XVI century (the University of Cambridge) and is ascribed to Giwargis Wardā. The hymn became available for scholarly circles with the publication of Assyriologist Anthon Pritula.

In 1942, a collection of poems translated from Arabic into French was published in Marseilles under the title "Islamic Songs of Love and War". Translator and publisher – Franz Toussaint. The compilation includes prosaic translations of Arabic, Persian, Afghan, Belu-jistan, Altarian, Turkish, Egyptian, Maroconian, Hogarian, Cherqezian and Georgian poems.

The Georgian part of the book includes four poems: Prince Zoumali *La Rose*, Chavtali *L'Embarras*, Roustoual *La Peau de Léopard*, Anonime *Nuit*. However, the poems have not been identified by Georgian sources. The authorship of Rustaveli is one of the major issues of the discussions. Some commentators fully deny the authenticity of the facts provided by Franz Toussaint.

Through oral interpretations, Franz Toussaint explained Georgian experts interested in this issue that he was able to obtain the information concerning Rustaveli from a compilation of Arabic poems by Abu'l Faraj from Cairo University bookstore. This author is considered to be from Syria, a Christian Arab writer born in 1225 (some researchers specify his name as Abu'l-Faraj Ibn al-Ibri). This famous Syrian writer, translator and compiler served as a bishop in Armenia and lived in Azerbaijan. His written records have retained

information on Iberians, conversion of Georgian people to Christianity and the Georgian-Mongol relationship.

So a reasonable doubt in the truth of Toussaint's publication is too early. On the other hand, it is not desirable to consider the poem published in a French translation as a true work by Rustaveli. The issue must be thoroughly studied. To conceal or deny this fact, which has been happening for a long time, is unacceptable. This is also an urgent duty of Georgian orientologists.

References:

- Varda, g. (2013). XIII saukunis utsnobi siriuli himni tbilisze. „-“, №19, tbilisi: kartvelologi. [Warda, G. (2013). The Hymn on Tiflis from the Wardā Collection. “The Kartvelologist”, №19. Tbilisi: Kartvelologi].
- Khintibidze, E. (1997). New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph. „Orientalia Christiana Periodical“, V.63.II. Roma.

შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის
ესთეტიკური სამყაროს გაგებისათვის
ON INTERPRETATION OF THE AESTHETIC WORLD OF THE
MIEVEAL NEAR EAST

ელიზბარ ჯაველიძე
Elizbar Javelidze

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Georgian National Academy of Sciences

საკვანძო სიტყვები: ესთეტიკური სამყარო, შუა საუკუნეების
მახლობელი აღმოსავლეთი, ეპოქის კულტურა, ზემთასოფელი,
კოსმიური

Keywords: Aesthetic World, the Medieval Near East, the Culture of
Contemporary Period, the Other World, Cosmic